ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №01-03-149

ქ. თბილისი

13 სექტემბერი, 2019 წელი

შემსყიდველი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის **ბერიკა შუკაკიძის** სახით;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22

მიმწოდებელი: ააიპ „ახალგაზრდობის საერთაშორისო ცენტრი", წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მინდობილი პირის **ლევან ბოლქვაძის** სახით;
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-4 მიკრო/რაიონი, კორპუსი N10ა, ბინა N6;
საიდენტიფიკაციო კოდი: 405093893;
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22, ა/ა: GE31BG0000000913408900

ერთის მხრივ შემსყიდველი და მეორეს მხრივ მიმწოდებელი, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე, **ტენდერის NAT190016448)** შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2 ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება.
1.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ლიტერატურული კონკურსის დაჯილდოვების ღონისძიების ორგანიზების მომსახურება, რომლის დეტალური მახასიათებლებლები მოცემულია ხელშეკრულების დანართი N1-ში ***(CPV79952000 - ღონისძიებების ორგანიზება).***

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **22266.60 (ოცდაორი ათას ორას სამოცდაექვსი ლარი და 60 თეთრი) ლარს;**
3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ერთეულის ფასები მოცემულია ხელშეკრულების დანართ N1-ში;
3.5 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს (დღგ-ს ჩათვლით);
3.6. დაფინანსების წყარო: ***სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით,*** **საინფორმაციო, საგანმანათლებლო და მეთოდური რესურსების პროგრამის ფარგლებში *(პროგრამული კოდი: 32 02 02 02).***

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1. მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს.

4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ გაწეული მომსახურება იქნება უნაკლო.

მუხლი 5. გასაწევი მომსახურების ვადა, ადგილი და პირობები

5.1. მომსახურების გაწევის ვადა: 2019 წლის 30 სექტემბერი.

5.2. მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, რესპუბლიკის მოედანი N1, სასტუმრო "Radisson Blu Iveria"-ს საკონფერენციო ფართი.

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებას;

6.2. თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო ან/და ნაკლოვანია მიმწოდებელი უზრუნველყოფს უხარისხო საქონლის შეცვლას;

6.3 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება გაფორმდება ერთიანად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

6.4. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსლება ენიჭება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების მენეჯერს მაია კვარაცხელიას.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

7.3 საავანსო გადახდა არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს „მიმწოდებელი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" მომსახურების ღირებულება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 შეამოწმოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2. მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3. მოთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.2.4. მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლოვანი ან უხარისხო შესყიდვის ობიექტის შეცვლა ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.3.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2. გადასცეს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული შესყიდვის ობიექტი საკუთრებაში;

8.3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი მიწოდებისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.3.4. აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.3.5. საკუთარი ხარჯებით შეცვალოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო შესყიდვის ობიექტი ან აღმოფხვრას არსებული ნაკლი;

8.3.6. წარუდგინოს შემსყიდველს მიწოდებულ შესყიდვის ობიექტის დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

8.4. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.4.1. მოსთხოვოს „შემსყიდველს" მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.2. მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

8.4.3. მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 % -ის ოდენობით;

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) % -ის ოდენობით;

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი)%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. „შემსყიდველის" წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის აღმოფხვრა;

10.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო, საგანმანათლებლო და მეთოდური რესურსების პროგრამის მენეჯერი ნატალია ინგოროყვა.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;

11.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.4.1. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11.5. ამ მუხლის 11.4. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 13. ფორსმაჟორი.

13.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3. მესამე პირთან (პირებთან) ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

16.5. წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სიტყვიერ დამატებას;

16.6. მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

16.8. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, გამოყენებულია ელექტრონული ხელისმოწერა ან/და შტამპი;

16.9. ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 17. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ზერიკა შუკაგაძე
დირექტორი

მიმწოდებელი:
ააიპ „ახალგაზრდობის საერთაშორისო ცენტრი"

გამოყენებულია
ელექტრონული ხელისმოწერა

ლევან ბოლქვაძე
თავმჯდომარის მინდობილი პირი

Levan Bolkvadze
Digitally signed by Levan Bolkvadze
Date: 2019.09.13 05:46:56 -07'00'

დანართი N1

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

ღონისძიების დასახელება: კონკურსი ქართველი მწერლებისთვის - "საუკეთესო მოთხრობა მასწავლებელზე"						
ღონისძიების თარიღი და ლოკაცია: 2019 წლის 30 სექტემბერი, სასტუმრო "Radisson Blu Iveria"-ს საკონფერენციო ფართი, მისამართი: ქ. თბილისი, რესპუბლიკის მოედანი N1 (აღნიშნული ფართის იჯარის შესყიდვა ხორციელდება შემსყიდველის მიერ)						
ღონისძიებისთვის საჭირო ინვენტარი, ტექნიკური აღჭურვილობა და მომსახურება						
N	დასახელება	ტექნიკური აღწერილობა	რაოდენობა	განზომილების ერთეული	ერთეულის ღირებულება (ლარი, დღგ-ს ჩათვლით)	საერთო ღირებულება (ლარი, დღგ-ს ჩათვლით)
1	ბანერი	სავარაუდო ზომა: 3მX4მ, ბანერის დამზადებამდე, მიმწოდებლის მიერ უნდა მოხდეს საბოლოო ზომების დაზუსტება ლოკაციის ზომების მიხედვით და შემსყიდველთან შეთანხმებით; ბეჭდვა: CMYK 4-0; ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) დღის ვადაში მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ბანერის მასალის ხარისხი მცირე ნიმუშის სახით (ბეჭდვა: CMYK 4-0), ბანერის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მასალის ხარისხის დადასტურების შემდეგ; ბანერის დიზაინი მიმწოდებელს მიეწოდება შემსყიდველის მიერ.	1	ცალი	295.00	295.00
2	LED ეკრანი	სავარაუდო ზომა: 6მX6მ, საბოლოო ზომების დაზუსტება განხორციელდება შემსყიდველთან შეთანხმებით; ეკრანი დატვირთული იქნება ლოგოს გრაფიკული ანიმაციით; თანმდევი მომსახურება: ეკრანის მართვისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხარისხიან გამოსახულებას, ისე ვიდეომასალებისა და ვიზუალების წინასწარ შედგენილი სცენარის მიხედვით გაშვებას;	36	კვ.მ	177.00	6372.00

3	კოქტეილის მაგიდები	მაგიდა 1,20მ სიმაღლის, ქსოვილის გადასაფარებლით; თითოეული მაგიდაზე უნდა იყოს ცოცხალი ყვავილების თაიგულები; თითოეული თაიგული 5 სახის ყვავილისგან უნდა შედგებოდეს. მათ შორის ერთი სახეობის ყვავილი უნდა იყოს ბრენდირების შესაბამისი ფერის. ფერი დაზუსტდება შემსყიდველთან შეთანხმებით.	20	ცალი	64.90	1298.00
4	ბრენდირებული მაგიდა	ბრენდირებული მაგიდა დამზადებული ლამინატის მასალისგან, კუბის ფორმის. ზომები: სიმაღლე 1,5 მ, სიგანე 1 მი. მაგიდის მთლიანი პერიმეტრი ზევიდან და გვერდებიდან უნდა იყოს ბრენდირებული სტიკერით, დიზაინის ერთიანი კონცეფციის მიხედვით. დიზაინის შესრულება უნდა განახორციელოს მომწოდებელმა შემსყიდველთან შეთანხმებით.	1	ცალი	1180.00	1180.00
5	დეკორატიული განათება ბანერისთვის	ბანერის განათების მიზნით, ბანერის ქვედა კიდეზე უნდა დამაგრდეს მცირე ზომის დეკორატიული განათებები. ბანერის განათებების ტიპის (ზომა და ფერი) შერჩევა განხორციელდება შემსყიდველთან შეთანხმებით.	6	ცალი	59.00	354.00
6	განათება	განათება შემდეგი პირობებით: ღონისძიების სცენის განათება/მინათება ცენტრალურ დარბაზში (სცენის სატელევიზიო განათება არანაკლებ 2 კილოვატი) განათება უნდა იყოს თეთრი.	6	ცალი	330.40	1982.40
7	მომენტალური გიფების დანადგარებით მომსახურება	მომენტალური გიფის დანადგარით (სენსორულ ეკრანზე ღილაკის დაჭერით) მომსახურება; მომსახურების ხანგრძლივობა: 3 საათი მომსახურებაში უნდა შედიოდეს: ფოტოს ჩარჩოს ბრენდირება; გიფების გადაღების ლიმიტი: ულიმიტო; შესაძლებელი უნდა იყოს გიფების გადაგზავნა ელექტრონულ ფოსტაზე.	1	ცალი	944.00	944.00

8	მომენტალური ფოტოების დანადგარებით მომსახურება	მომენტალური ფოტოს დანადგარით (სენსორულ ეკრანზე ღილაკის დაჭერით ფოტოს ბეჭდვა) მომსახურება; მომსახურების ხანგრძლივობა 3 საათი. მომსახურებაში უნდა შედიოდეს: ფოტოს ჩარჩოს ბრენდირება; ფოტოების გადაღების ლიმიტი: ულიმიტო; ფოტოების ადგილზე დაბეჭდვის ლიმიტი: 100 (ასი) ცალი ფოტო შესაძლებელი უნდა იყოს ფოტოების გადაგზავნა ელექტრონულ ფოსტაზე.	1	ცალი	1374.70	1374.70
9	ღონისძიების livestream-ით უზრუნველყოფა	ღონისძიების ვიდეო გადაღება და livestream-ით უზრუნველყოფა ტექნიკურად; livestream-ის ინტეგრირება შემსყიდველის მიერ მითითებულ სოციალურ მედია არხებზე; ვიდეო გადაღება უნდა განხორციელდეს პროფესიონალური კამერით, HD ხარისხით, ციფრული ხმის მიწოდებით.	2	საათი	590.00	1180.00
10	დაჯილდოვების დახურვა სასცენო ფეიერვერკით	მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დაჯილდოვების დახურვა სასცენო ფეიერვერკით, აღნიშნული უნდა განხორციელდეს პროფესიონალი პირების მიერ უსაფრთხოების წესების დაცვით.	5	ცალი	35.40	177.00
		ფურშეტი				
11	დესერტი (უნდა განთავსდეს ე.წ. შვედური მაგიდის პრინციპით ღონისძიების ლოკაციის ადგილზე)	ნამცხვარი 5 სახეობის, კერძოდ: ე.წ. მაკარუნი (რომლის ფერი დაზუსტდება შემსყიდველთან), ჩიზქეიქი, ბრაუნი, პანაკოტა, ვაშლის შტრუდელი (თითო სახეობა 200 (ორასი) ცალი, სულ ჯამში 1000 ცალი).	1000	ცალი	3.540	3540.000
		სასმელი				
12	ღვინო თეთრი	დაფასოებული 0.75 ლ. ტევადობის შუშის ბოთლში	15	ბოთლი	29.50	442.50
13	ღვინო წითელი	დაფასოებული 0.75 ლ. ტევადობის შუშის ბოთლში	15	ბოთლი	35.40	531.00

14	შამპანური როზე	დაფასოებული 0.75 ლ. ტევადობის შუშის ბოთლში	15	ბოთლი	29.50	442.50
15	შამპანური თეთრი	დაფასოებული 0.75 ლ. ტევადობის შუშის ბოთლში	15	ბოთლი	29.50	442.50
16	სასმელი წყალი	დაფასოებული 0.5 ლიტრიანი ტევადობის პლასტმასის ჭურჭელში	100	ბოთლი	1.18	118.00
17	ნატურალური წვენი	სამი სახეობის, ჯამში სულ 50 ლიტრი	50	ლიტრი	7.08	354.00
18	მიმტანის მომსახურება	მიმტანებმა სინით ხელში უნდა შესთავაზონ სტუმრებს სასმელები	10	მიმტანი	123.90	1239.00
					სულ ჯამი:	22266.60

შემსყიდველი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ბერიკა შუკაკიძე
დირექტორი

მიმწოდებელი:
ააიპ „ახალგაზრდობის საერთაშორისო ცენტრი“

გამოყენებულია
ელექტრონული ხელისმოწერა
ლევან ბოლქვაძე
თავმჯდომარის მინდობილი პირი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახ
საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერ
ვადასტურებთ, რომ N01-03-149 ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

_____
დავით ხვედელიძე

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების
სამსახურის უფროსი

_____
ია ძებისაური

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის ცენტრის ეკონომიკური
რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი

_____
ნიკო ფიფლაშვილი

მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირი/ შემსრულებელი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების
სამსახურის შესყიდვების მენეჯერი

_____
მაია კვარაცხელია

ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორი

_____
ბერიკა შუკაკიძე